

შიდა ქართლში ქარის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა

06 ოქტომბერი 2016

საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი კვიციანი, ენერჯეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი, „ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ გენერალური დირექტორი მამუკა კობახიძე, შიდა ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგურის „ქართლის“ გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ. პროექტი საქართველოს „ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ და საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის“ შვილობილმა კომპანიამ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა“ განახორციელა. ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 20,7 მეგავატია, ხოლო გამოშუქავებული ელექტროენერჯია 88 მლნ კვტ/საათი. ქარის ელექტროსადგური შედგება ექვსი აგრეგატისაგან, თითოეულის სიმძლავრე შეადგენს 3,45 მგვტ-ს. ქარის ელექტროსადგური „ქართლი“, მისი სპეციფიკიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სადგურია. აღნიშნულ პროექტზე მუშაობა სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდმა“ 2013 წელს დაიწყო. 2013 წლის ზაფხულში დამონტაჟდა ქარის ძირითადი პარამეტრების გამზომველი მეტეოროლოგიური ანძა. ანძის საშუალებით მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ფონდის დაკვეთით ქარის ინდუსტრიაში ერთ-ერთმა წამყვანმა ნორვეგიულმა კომპანიამ „MEVENTUS“-მა მოამზადა ქარის რესურსების შეფასების ანგარიში. ამასთანავე მომზადდა ტურბინების განლაგების რამოდენიმე სქემა, საიდანაც შეირჩა ადგილისთვის ყველაზე ოპტიმალური ექვს ტურბინიანი სქემა. დეტალური პროექტი მომზადდა ბელგიური საკონსულტაციო კომპანია Tractebel Engineering S.A-ს მიერ, რომელიც წარმოადგენს გიგანტი კონცერნის GDF Suez Group-ის შვილობილ კომპანიას.

ქართლის ქარის ელექტროსადგური ხელს შეუწყობს მთავრობის სტრატეგიას, რომელიც დაბალემისიებიანი გენერაციის განვითარებას და ზამთრის სეზონზე ქვეყნის მოთხოვნის ნაწილის ქარის ენერჯით დაკმაყოფილებას ითვალისწინებს. ალტერნატიული ენერჯის წყაროების ათვისება, როგორც არის ქარის და მზის ენერჯია, კიდევ დამატებით სიმძლავრეებს შესძენს ჩვენს ენერჯო სექტორს.